საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება N 01-11/105

ქ. ბათუმი 08 დეკემბერი, 2017 წ.

ბსუ-ში საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გასაუმჯობესებლად გასატარებელი ღონისძიებების შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ'' საქართველოს კანონის 23-24-ე მუხლების, ბსუ-ს წესდების მე-15 მუხლის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 28-ე, 36-ე, 51- 54-ე, 57-ე, 61-ე მუხლების, ,,საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნისა და პროაქტიულად გამოქვეყნების შესახებ'' საქართველოს მთავრობის 2013 წლის 26 აგვისტოს №219 დადგენილების, ,,ბსუ-ს ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის და ბსუ-ს ოფიციალური ვებგვერდის ადმინისტრირების წესის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2017 წლის 14 ივნისის N01-11/47 ბრძანების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ბსუ-ში საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებისათვის, მათ შორის საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით გაცემისა და პროაქტიული გამოქვეყნებისათვის გატარდეს შემდეგი ღონისძიებები:

   ა) ბსუ-ში **საჯარო ინფორმაციის მატერიალური და ელექტრონული ფორმით** (ელექტრონული საქმისწარმოებისა და ბსუ-ს ვებგვერდის საშუალებით ელექტრონულად მოთხოვნის შემთხვევაში) **გაცემაზე პასუხისმგებელ პირად** განისაზღვროს **ბსუ-ს კანცელარიის უფროსი;**

   ბ) ბსუ-ში საჯარო ინფორმაციის პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელ პირებად, წინამდებარე ბრძანების დანართებით განსაზღვრული კომპეტენციების ფარგლებში, განისაზღვრონ **საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის** უფროსი **და საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურის** უფროსი;

   გ) ბსუ-ს საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს დაევალოს ბსუ-ს ოფიციალურ ვებგვერდზე **,,საჯარო ინფორმაციის"** ველის შექმნა, რომელიც ჩაიშალოს ცალკეულ ველებად, წინამდებარე ბრძანების N2 დანართში მითითებული თემატიკის მიხედვით;

   დ) ბსუ-ს საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს დაევალოს ბსუ-ს ოფიციალურ ვებგვერდზე ცალკე ველის **,,მოითხოვე საჯარო ინფორმაცია" შექმნა** (განმცხადებლის სახელი და გვარის/იურიდიული პირის დასახელების, ფიზიკური პირის პირადობის ნომრის/იურიდიული პირის საიდენტიფიკაციო ნომრის, ელექტრონული ფოსტის, ტელეფონის, მისამართის და მოთხოვნის შინაარსის მითითების შესაძლებლობით),

რომლის საშუალებით დაინტერესებულ პირებს მიეცემათ დამატებითი შესაძლებლობა ელექტრონულად მოითხოვონ ბსუ-ში არსებული საჯარო ინფორმაცია;

ე) **„მოითხოვე საჯარო ინფორმაცია“** ბსუ-ს ვებგვერდის ველის ადმინისტრირება განხორციელდეს ერთობლივად, ბსუ-ს საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურისა (ტექნიკური თვალსაზრისით) და კანცელარიის (შინაარსობრივი თვალსაზრისით) მიერ;

ვ) დაევალოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს უზრუნველყოს ბსუ-ს ვებგვერდის შესაბამის ველში საჯარო ინფორმაციის მატერიალური და ელექტრონული ფორმით გაცემაზე და საჯარო ინფორმაციის პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი პირის ვინაობისა და საკონტაქტო ინფორმაციის განთავსება;

ზ) დამტკიცდეს **საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნებისა და ელექტრონული ფორმით გაცემის** თანდართული წესი (**დანართი 1**);

თ) საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, მატერიალური და ელექტრონული ფორმით გაცემის, ასევე მისი პროაქტიული გამოქვეყნების უზრუნველყოფის მიზნით განისაზღვროს **ბსუ-ს ელექტრონულ რესურსებზე პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი საჯარო ინფორმაციის ნუსხა, ინფორმაციის განახლების ვადები და ინფორმაციის მიწოდებაზე პასუხისმგებელი სუბიექტები** **დანართი 2**-ის შესაბამისად;

2. **ამ ბრძანების ამოქმედებიდან ძალადაკარგულად ჩაითვალოს** ,,კანცელარიის უფროსის მერაბ ბერიძის საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირად დანიშვნის შესახებ“ ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2007 წლის 1 დეკემბრის N646 ბრძანება.
3. წინამდებარე ბრძანების დანართებით განსაზღვრულ პასუხისმგებელ პირებს დაევალოს საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისათვის წინამდებარე ბრძანების დანართებში მითითებული საჯარო ინფორმაციის დამუშავება და მათ გამოქვეყნებაზე უფლებამოსილი პირებისათვის მიწოდება **არაუგვიანეს 2018 წლის 3 იანვრისა.**
4. **წინამდებარე ბრძანების აღსრულების შესახებ ინფორმაცია** წარმოდგენილი იქნეს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის მიერ.
5. ბრძანების ყველასათვის ხელმისაწვდომ ადგილზე განთავსება (საჯარო გამოცხადება) უზრუნველყოს კანცელარიამ.
6. ბრძანების ბსუ-ს ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსება უზრუნველყოს საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურმა.
7. ბრძანება ძალაშია საჯაროდ გამოცხადებისთანავე.
8. ბრძანება კანონმდებლობით დადგენილი წესით შეიძლება გასაჩივრდეს ბსუ-ს ვებგვერდზე გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტ. ზუბალაშვილის ქ. N30).

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი **ჯემალ ანანიძე**

ბსუ-ში საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გასაუმჯობესებლად გასატარებელი ღონისძიებების შესახებ“ ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2017 წლის 08 დეკემბრის N01-11/105 -- ბრძანების

დანართი 1

საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნებისა და ელექტრონული ფორმით გაცემის წესი

1. წინამდებარე წესი განსაზღვრავს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში (შემდეგში ,,ბსუ“) საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-3 თავით (ინფორმაციის თავისუფლება), კერძოდ კი, 28-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული საჯარო ინფორმაციის და საზოგადოებრივი ინტერესის შემცველი საჯარო ინფორმაციის ბსუ-ს ელექტრონულ რესურსებზე (ბსუ-ს ოფიციალურ ვებგვერდზე www.bsu.edu.ge და სოციალურ ქსელებში) განთავსების (შემდეგში ,,პროაქტიული გამოქვეყნება“) და ელექტრონული ფორმით გაცემის პროცედურებს.
2. საქართველოს კანონმდებლობით, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანებით დამტკიცებული ,,ბსუ-ს ელექტრონულ რესურსებზე პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი საჯარო ინფორმაციის ნუსხით“ განსაზღვრული ინფორმაცია, ასევე ბსუ-ს საქმიანობისა და კომპეტენციის ფარგლებში საზოგადოებრივი ინტერესის შემცველი საჯარო ინფორმაცია ბსუ-ს ელექტრონულ რესურსზე უნდა განთავსდეს **ბსუ-ში საჯარო ინფორმაციის პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი პირის მიერ,** შემდეგი ვადების გათვალისწინებით:
   ა) კვარტალურად გამოსაქვეყნებელი - **ყოველი კვარტლის დასრულებიდან 1 თვის ვადაში;**
   ბ) წლიურად გამოსაქვეყნებელი - **შესაბამისი წლის დასრულებიდან 3 თვის ვადაში;**
   გ) საჯარო ინფორმაციის განახლების შემთხვევაში, რაც დაკავშირებული იქნება შესაბამის ნორმატიულ აქტში ცვლილების შეტანასთან - **ცვლილების ძალაში შესვლიდან 10 დღეში;**
   დ) ბსუ-ს ვებგვერდზე გამოქვეყნებული საზოგადოებრივი ინტერესის შემცველ ინფორმაციაში ცვლილების შეტანისას - **ცვლილების შეტანიდან არაუგვიანეს 10 დღეში.**
3. **ბსუ-ში საჯარო ინფორმაციის პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელმა პირმა** უნდა უზრუნველყოს ელექტრონულად გამოქვეყნებული ინფორმაციის სიზუსტე, ნამდვილობა და პერიოდული განახლება (განახლების თარიღის მითითებით).
4. **ბსუ-ს სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელებმა,** თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში, უნდა უზრუნველყონ ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანებით დამტკიცებული ,,ბსუ-ს ელექტრონულ რესურსებზე პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი საჯარო ინფორმაციის ნუსხით“ განსაზღვრული ინფორმაციის და ბსუ-ში საჯარო

ინფორმაციის პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი პირის მიერ მოთხოვნილი, ბსუ-ს საქმიანობისა და კომპეტენციის ფარგლებში საზოგადოებრივი ინტერესის შემცველი საჯარო ინფორმაციის დროული დამუშავება და მიწოდება.

5. ბსუ-ს ვებგვერდზე საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების მიუხედავად შესაბამისმა პასუხისმგებელმა პირებმა უზრუნველყოს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი წესით იმავე ან სხვა საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის შემთხვევაში მათი გაცემა.
6. საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა უზრუნველყოფილი იქნეს, როგორც ბსუ-ს კანცელარიის მეშვეობით წარმოდგენილი განცხადების წარმოდგენის ან ელექტრონულად ბსუ-ს ვებგვერდზე არსებული ველის ,,მოითხოვე საჯარო ინფორმაცია" მეშვეობით მოთხოვნის შემთხვევაში.
7. ბსუ-ს კანცელარიამ უზრუნველყოს განმცხადებლის საჯარო ინფორმაციის ინფორმაციას დედანში გაცნობის უფლების რეალიზაცია (თუ არსებობს დედნის დაზიანების საფრთხე, ვალდებულია უზრუნველყოს ზედამხედველობის ქვეშ მისი გაცნობის შესაძლებლობა ან წარუდგინოს განმცხადებელს სათანადო წესით დამოწმებული ასლი).

ბსუ-ში საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გასაუმჯობესებლად გასატარებელი ღონისძიებების შესახებ“ ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2017 წლის 08 დეკემბრის N--- 01-11/105 ბრძანების

დანართი N2

ბსუ-ს ელექტრონულ რესურსებზე პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი საჯარო ინფორმაციის ნუსხა, ინფორმაციის განახლების ვადები და ინფორმაციის მიწოდებაზე პასუხისმგებელი სუბიექტები

1. ზოგადი ინფორმაცია ადმინისტრაციული ორგანოს შესახებ			
№	პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი საჯარო ინფორმაცია	ინფორმაციის განახლების ვადები	პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის მიწოდებაზე პასუხისმგებელი სუბიექტები
1.1	ბსუ-ს სტრუქტურა და სტრუქტურული ერთეულების ფუნქციების აღწერა	განახლებადია ცვლილების შემთხვევაში	იურიდიული დეპარტამენტი
1.2	ბსუ-ს და მისი სტრუქტურული ერთეულების საქმიანობის მარეგულირებელი სამართლებრივი აქტები	განახლებადია ცვლილების შემთხვევაში	იურიდიული დეპარტამენტი
1.3	ბსუ-ს საქმიანობის შესახებ წლიური ანგარიშები ---------- ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ანგარიში, აკადემიური საბჭოს ანგარიში	ქვეყნდება ყოველწლიურად	ადმინისტრაციის ხელმძღვანელის აპარატი ---------- აკადემიური საბჭოს სამდივნო

1.4	ბსუ-ს მისია, სტრატეგიული განვითარების გეგმა და სამოქმედო გეგმები	განახლებადია ცვლილების შემთხვევაში	აკადემიური საბჭოს სამდივნო
1.5	რექტორის, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის, ბსუ-ს მართვის ორგანოების შემადგენლობის, ადმინისტრაციული პერსონალის, სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელების შესახებ ინფორმაცია (სახელი, გვარი, ფოტოსურათი, კორპორაციული ელექტრონული მისამართი, ბიოგრაფიული მონაცემები, არჩევის/დანიშვნის თარიღი)	განახლებადია ცვლილების შემთხვევაში	ადამიანური რესურსების მართვის სამსახური და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური
1.6	ბსუ-ს საკონტაქტო ინფორმაცია: მისამართი, ელექტრონული ფოსტის მისამართი ფაქსის და ტელეფონის ნომერი, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ტელეფონის ნომერი, ელექტრონული ფოსტის მისამართი,	განახლებადია ცვლილების შემთხვევაში	საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური
2. საჯარო ინფორმაციის გვერდი			
2.1	საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნ-ველყოფაზე პასუხისმგებელი პირის (პირების) სახელი, გვარი, თანამდებობა, სამსახურის ელექტრონული ფოსტა, სამსახურის ტელეფონისა და ფაქსის ნომრები	განახლებადია ცვლილების შემთხვევაში	საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური
2.2	საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობასთან დაკავ-შირებული სამართლებრივი აქტები	განახლებადია ცვლილების შემთხვევაში	იურიდიული დეპარტამენტი

2.3	ბსუ-ს მიერ საქართველოს პრე-ზიდენტისა და პარლამენტისათვის წარდგენილი საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 49-ე მუხლით გათვალისწინებული ყოველწლიური ანგარიში	ქვეყნდება ყოველწლიურად	კანცელარია
3.	**ინფორმაცია ბსუ-ს ადამიანური რესურსის შესახებ**		
3.1	ბსუ-ში გამოცხადებული ვაკანტური პოზიციების ჩამონათვალი, კონკურსის შედეგები (მხოლოდ კონკურსში გამარჯვებულ პირთა ვინაობა)	განახლებადია ცვლილების შემთხვევაში	ადამიანური რესურსების მართვის სამსახური
3.2.	კონკურსის შედეგების გასაჩივრების წესი და პროცე-დურა)		იურიდიული დეპარტამენტი
3.3	ნორმატიული აქტები, რომლებიც განსაზღვრავს ბსუ-ში კონკურსის ჩატარების წესს	განახლებადია ცვლილების შემთხვევაში	იურიდიული დეპარტამენტი
3.4	ბსუ-ში დასაქმებულ პირთა რაოდენობა კატეგორიების მითითებით, აგრეთვე გენდერულ ჭრილში	ქვეყნდება კვარტალურად	ადამიანური რესურსების მართვის სამსახური
4.	**ინფორმაცია ბსუ-ში განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ**		
4.1	სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმა	ქვეყნდება კვარტალურად	საფინანსო -ეკონომიკური დეპარტამენტი

4.2	სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმის ფარგლებში განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ინფორმაცია მიმწოდებლის, შესყიდვის ობიექტის, შესყიდვის საშუალების, ხელშეკრულების ღირებულებისა და გადარიცხული თანხების მითითებით	ქვეყნდება კვარტალურად	საფინანსო -ეკონომიკური დეპარტამენტი
4.3	ინფორმაცია სახელმწიფო ქონების გასხვისებისა და სარგებლობაში გადაცემის შესახებ	ქვეყნდება კვარტალურად	საფინანსო -ეკონომიკური დეპარტამენტი
4.4	რეკლამის განთავსებაზე გაწეული ხარჯები	ქვეყნდება კვარტალურად	საფინანსო -ეკონომიკური დეპარტამენტი
5.	**ინფორმაცია ბსუ-ს ფინანსების (ხაჯთაღრიცხვის) შესახებ**		
5.1	დამტკიცებული ბიუჯეტი (დაზუსტებული ბიუჯეტები)	ქვეყნდება კვარტალურად	საფინანსო-ეკონომიკური დეპარტამენტი
5.2	ბიუჯეტის შესრულების შესახებ ინფორმაცია (ნაზარდი ჯამით)	ქვეყნდება კვარტალურად და ყოველწლიურად	საფინანსო-ეკონომიკური დეპარტამენტი
5.3	ინფორმაცია დასაქმებულებზე გაცემული სარგოს, დანამატებისა და პრემიების კვარტალური ოდენობების შესახებ (ჯამურად)	ქვეყნდება კვარტალურად	საფინანსო-ეკონომიკური დეპარტამენტი
5.4	ინფორმაცია სამივლინებო ხარჯების შესახებ (ჯამურად, ცალ-ცალკე ქვეყნის შიგნით და ქვეყნის გარეთ განხორციელებული მივლინებების მიხედვით)	ქვეყნდება კვარტალურად	საფინანსო -ეკონომიკური დეპარტამენტი

5.5	ბსუ-ს ბალანსზე რიცხული ავტოსატრანსპორტო საშუალებების ჩამონათვალი მოდელის მითითებით	ქვეყნდება ყოველწლიურად	საფინანსო -ეკონომიკური დეპარტამენტი
5.6	ინფორმაცია საწვავის მოხმარებაზე გაწეული ხარჯის შესახებ ჯამურად	ქვეყნდება ყოველწლიურად	საფინანსო -ეკონომიკური დეპარტამენტი
5.7	ავტოსატრანსპორტო საშუალებების ტექნიკურ მომსახურებაზე გაწეული ხარჯების შესახებ ინფორმაცია ჯამურად	ქვეყნდება ყოველწლიურად	საფინანსო -ეკონომიკური დეპარტამენტი
5.8	ბსუ-ს ბალანსზე რიცხული უძრავი ქონების ჩამონათვალი	ქვეყნდება ყოველწლიურად	საფინანსო -ეკონომიკური დეპარტამენტი
5.9	ინფორმაცია განხორციელებულ სატელეფონო საუბრებზე (საერთაშორისო და ადგილობრივი ზარები) გაწეული სატელეკომუნიკაციო ხარჯების შესახებ ჯამურად	ქვეყნდება ყოველწლიურად	საფინანსო-ეკონომიკური დეპარტამენტი
5.10	უცხო სახელმწიფოთა მთავრობების, საერთაშორისო ორგანიზაციების, სხვა დონის სახელმწიფო ერთეულების მიერ ბსუ-სთვის გამოყოფილი ფინანსური სახსრების (გრანტები, კრედიტები) შესახებ ინფორმაცია	ქვეყნდება ყოველწლიურად	საფინანსო-ეკონომიკური დეპარტამენტი
5.11	ინფორმაცია ბსუ-ს მიერ გაცემული შიდა გრანტების შესახებ, მათ შორის,გრანტის მიმღები, მიზნობრიობა, გრანტის მოცულობა და გადარიცხული ოდენობა	ქვეყნდება ყოველწლიურად	საფინანსო -ეკონომიკური დეპარტამენტი
5.12	საქართველოს საბიუჯეტო კოდექსით გათვალისწინებული ფონდებიდან ბსუ-სთვის გამოყოფილი თანხების შესახებ ინფორმაცია	ქვეყნდება კვარტალურად	საფინანსო -ეკონომიკური დეპარტამენტი

6. სამართლებრივი აქტები			
6.1	ნორმატიული აქტები, რომლებიც უშუალოდ არის დაკავშირებული ბსუ-ს საქმიანობასთან	ქვეყნდება ძალაში შესვლიდან 10 დღეში (ცვლილებების შეტანის შემთხვევაში კი განთავსდება კოდიფიცირებული ვერსია)	**იურიდიული დეპარტამენტი**
6.2	ინდივიდუალური სამართლებრივი აქტები, რომლებიც ბსუ-ს შეფასებით საზოგადოებრივი ინტერესის შემცველია	ქვეყნდება ძალაში შესვლიდან არაუგვიანეს 10 დღეში	საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური და იურიდიული დეპარტამენტი
7.	სხვა საჯარო ინფორმაცია		
7.1	ბსუ-ს სერვისების შესახებ ინფორმაცია (სტუდენტური და სხვა)	განახლებადია ცვლილების შემთხვევაში	საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის აპარატი საფინანსო-ეკონომიკური დეპარტამენტი
7.2	ინფორმაცია იმ ტარიფებისა და საფასურების შესახებ, რომლებიც დადგენილია ან/და რომელთა გადახდევინებაც ხდება ბსუ-ში	განახლებადია ცვლილების შემთხვევაში	საფინანსო -ეკონომიკური დეპარტამენტი